

შპს “ყაზბეგი ჰესი”
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ყაზბეგი ჰესი“-ს („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაცემად 2021 წლის 28 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „შპს ყაზბეგი ჰესი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ყაზბეგი ჰესი“ /241495422/ მდებარეობს დარიალის ხეობაში, იგი მიეკუთვნება მცირე ჰესებს და საქმიანობს ყაზბეგი ჰესის სახელით. მის მიერ წარმოებული ელექტრო ენერგიის მიწოდება ხდება შიდა ბაზარზე.

საანგარიშგებო პერიოდში შპს „ყაზბეგი ჰესი“-ს მფლობელები არიან ლაშა იორდანიშვილი (66,67%) და ლელა იოსელიანი (33,33%).

დირექტორი - გიორგი გოგავა

წლის განმავლობაში კომპანიას დასაქმებული ჰყავს საშუალოდ 24 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ და გამოიყენება უცვლელად ყველა წლისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს;

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(გ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(დ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში.

შპს "ყაზბეგი ჰესი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ბალანსის უწყისი-შპს ყაზბეგი ჰესი

აქტივები	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები:		
ნაღდი ფული სალაროში	1090,00	1090
ფული საბანკო ანგარიშზე	3529324,44	438494
დებიტორული დავალიანება	218380,46	196065
სასაქონლო მარაგები	3399,09	3798
წინასწარ გაწეული ხარჯები	25198,00	2000
სხვა მისაღები თანხები	1017877,99	341298
მთლიანი მიმდინარე აქტივები	4795269,98	982745
ძირითადი საშუალებები:		
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10896,31	11455
მანქანა-დანადგარები	381126,86	3757576
შენობა-ნაგებობები	3352727,00	28659
მიწა	2434,00	2434
მთლიანი ძირითადი საშუალებები	3747184,17	3800124
მთლიანი აქტივები	8542454,15	4782869
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	0,00	5394
დარიცხული გადასახადები	2952173,51	508698
გადასახდელი ხელფასები	0,00	
დარიცხული პენსია	0,00	3617
ავანსად მიღებული შემოსავლები	0,00	0
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	2952173,51	517709
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0,00	0
მთლიანი ვალდებულებები	2952173,51	517709
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი	10350,00	10350
გაუნაწილებელი მოგება	5354561,32	4029441
სხვა რეზერვები	225369,08	225369
მთლიანი კაპიტალი	5590280,40	4265160
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	8542453,91	4782869

დირექტორი:

/გ.გოგავა/

შპს "ყაზბეგი ჰესი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს ყაზბეგი ჰესი - მოგება-ზარალის უწყისი

შემოსავლები:	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4141055	3846080
სხვა საოპერაციო შემოსავალი	67392	28419
წმინდა გაყიდვები	4208447	3874499
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	3798	3366
შესყიდვების ხარჯები	2234	2863
მარაგები პერიოდის ბოლოს	3399	3798
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2633	2431
საერთო მოგება	4205814	3872068

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	307958	327390
კომუნიკაცია	2231	2228
კომუნალური ხარჯები	8186	6849
საბანკო მომსახურების ხარჯები	14313	4703
დაზღვევა	86341	59891
რემონტი	12222	36013
ბიუჯეტი	73734	112806
სხვა ხარჯები	52249	88606
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	557234	638487

საოპერაციო მოგება	3648580	3233581
ცვეთა და ამორტიზაცია	-122618	-108729
საპროცენტო შემოსავალი	49675	0
საპროცენტო ხარჯი	0	-10861
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13489221	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-250986	-355794

მოგება/მოგების გადასახადის ხარჯამდე	16813872	2758197
მოგების გადასახადი	-2323709	-1011650
პერიოდის მოგება (ზარალი)	144901164	1746547

დირექტორი:



/გ.გოგავა/

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს ყაზბეგი ჰესი - მოგება-ზარალის უწყისი

შემოსავლები:	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4141055	3846080
სხვა საოპერაციო შემოსავალი	67392	28419
წმინდა გაყიდვები	4208447	3874499
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	3798	3366
შესყიდვების ხარჯები	2234	2863
მარაგები პერიოდის ბოლოს	3399	3798
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2633	2431
საერთო მოგება	4205814	3872068

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	307958	327390
კომუნიკაცია	2231	2228
კომუნალური ხარჯები	8186	6849
საბანკო მომსახურების ხარჯები	14313	4703
დაზღვევა	86341	59891
რემონტი	12222	36013
ბიუჯეტი	73734	112806
სხვა ხარჯები	52249	88606
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	557234	638487

საოპერაციო მოგება	3648580	3233581
ცვეთა და ამორტიზაცია	-122618	-108729
საპროცენტო შემოსავალი	49675	0
საპროცენტო ხარჯი	0	-10861
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13489221	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-250986	-355794

მოგება/მოგების გადასახადის ხარჯამდე	16813872	2758197
მოგების გადასახადი	-2323709	-1011650
პერიოდის მოგება (ზარალი)	144901164	1746547

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ბალანსის უწყისი-შპს ყაზბეგი ჰესი

აქტივები	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები:		
ნაღდი ფული სალაროში	1090	1090
ფული საბანკო ანგარიშზე	3529324	438494
დებიტორული დავალიანება	218380	196065
სასაქონლო მარაგები	3399	3798
საგადასახადო აქტივი	0	0
წინასწარ გაწეული ხარჯები	25198	2000
სხვა მისაღები თანხები	1017878	341298
მთლიანი მიმდინარე აქტივები	4795270	982745
ძირითადი საშუალებები:		
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10896	11455
მანქანა-დანადგარები	381127	3757576
შენობა-ნაგებობები	3352727	28659
მიწა	2434	2434
მთლიანი ძირითადი საშუალებები	3747184	3800124
მთლიანი აქტივები	8542454	4782869

მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	0	5394
დარიცხული გადასახადები	2952174	508698
გადასახდელი ხელფასები	0	
დარიცხული პენსია	0	3617
ავანსად მიღებული შემოსავლები	0	0
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	2952174	517709

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0

მთლიანი ვალდებულებები	2952174	517709
------------------------------	----------------	---------------

კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი	10350	10350
გაუნაწილებელი მოგება	5354561	4029441
სხვა რეზერვები	225369	225369
მთლიანი კაპიტალი	5590280	4265160

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	8542454	4782869
--	----------------	----------------

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

ორგანიზაციის ფული და ფულის ექვივალენტები ძირითადად შედგება საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოს არსებული ფულადი ნაშთისაგან, რაც 3529324,44 ლარს შეადგენს, ნაღდი ფულის სახით სალაროში აღრიცხულია ნაშთი 1050 ლარის ოდენობით.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად უკავშირდება ელექტრო ენერგიის გადაცემიდან წარმოშობილ მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღიარებული დებიტორული დავალიანება შეადგენს 218380,46 ლარს

გადახდილი ავანსები, დარიცხული მისაღები შემოსავალი, სხვა მისაღები თანხები

მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს მომწოდებლებზე, ასევე წინასწარ დაფარულ ვალდებულებებს, რაც ჯამში შეადგენს 25198,00 ლარს, ხოლო სხვა მისაღები თანხები წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციაზე გაცემულ სესხს 1017878 ლარის ოდენობით.

მარაგები

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გააჩნია.

სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციას აქვს მხოლოდ მცირე რაოდენობის, 3399,09 ლარის ღირებულების არასასაქონლო მარაგი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს უძრავი ქონება და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი; კერძოდ კი ეს არის ჰესის შებობა დამხმარე ნაგებობებთან ერთად.

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანიას ასევე გააჩნია სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები, საოფისე ინვენტარი და ტექნიკა.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას არ გააჩნია

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დღგ-ს, მოგებასა და გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიის ვალდებულებები ამ მუხლით შეადგენს 2952173,51 ლარს.

სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

ორგანიზაციას 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სხვა მოკლევადიანი ან/და გრძელვადიანი ვალდებულებები

ვალდებულებები არ გააჩნია.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა პერიოდებში მიღებული მოგებისგან. კომპანია მოგების გადასახადით ბეგრავს ისეთ ხარჯებს, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და შესაბამისად ამცირებს გასანაწილებელ მოგებას.

31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიის დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 5354561,32 ლარს.

ამონაგები

ამონაგები თითქმის სრულად შედგება ელექტრო ენერგიის მიწოდებისაგან

სხვა შემოსავლები

ამ მუხლით მიღებული შემოსავალი 13489221 ლარი არის მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული და გადახდილი სარგებელი, რომელიც უკავშირდება პარტნიორი კომპანიის სასარგებლოდ ბანკთან გაფორმებულ გარანტიას/თავდებობას, რის საფუძველზეც პარტნიორმა 2016 წლის დეკემბერში მიიღო მიზნობრივი კრედიტი.

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შემოსავალია აგრეთვე მიღებული დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან, ბანკის მიერ გაცემული საპროცენტო სარგებლის სახით 49675 ლარის ოდენობით.

ხარჯები

კომპანიის ძირითადი ხარჯები უკავშირდება პარსონალის შრომის ანაზღაურებასა და საგადასახადო ხარჯს.

ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ასევე ბალანსზე არსებული ტექნიკისა და უძრავი ქონების მოვლა-შენახვა.

საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეულია ასევე სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები;

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	3-10
შენობა-ნაგებობები და სხვა	5-20

საანგარიშგებო პერიოდის ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯმა ჯამსი 122618 ლარი შეადგინა

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები, რომლის აღიარებაც ანგარიშგების თარიღისათვის ჯერ არ მომხდარა.

თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ მიერ სრულად და დროულად ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულების აღიარება/გადახდა და ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის არ გააჩნიათ ინფორმაცია მოსალოდნელი მოთხოვნის თაობაზე, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს კომპანიის არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

შემდგომი მოვლენები

შპს “ყაზბეგი ჰესი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა ანგარიშგების კორექტირებას ან ცალკეულ განმარტებას - ადგილი არ ჰქონია.